საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„კარდანახი“

„კარდანახი“, თეთრი შემაგრებული ღვინო. მზადდება რქაწითლის ჯიშის ყურძნისგან, რ-იც გაშენებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კარდანახში. აძველებენ კასრში სამი წლის განმავლობაში. აქვს ქარვისფერი, სასიამოვნო ჯიშური ბუკეტი, პორტვეინის მსგავსი გემოთი. შეიცავს 18% სპირტს, 10% შაქარს. მჟავიანობაა 5–6 გ/დმ^3. პირველად „კ." დაამზადა ცნობილმა მეღვინემ, ვ. კანდელაკმა (1926). უშვებს კარდანახის ღვინის ქ-ნა. საერთაშ. გამოფენებზე მიღებული აქვს 8 ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი.

ბ. კალანდაძე